საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: შ. ა., ა. ა.

საჩივრის ავტორის შ. ა.-ის თარჯიმანი: ი. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 09.12.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 153/19

საჩივარი შემოტანილია: ს. ი.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ს. ი.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1. 2019 წლის 09 დეკემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა შ. ა.-მა და მოითხოვა ადვოკატ ს. ი.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2020 წლის 15 იანვარს საჩივრის ავტორის შვილმა ა. ა.-მა წერილობითი ფორმით წარუდგინა კომისიას განმარტება, რომლის მიხედვითაც ის იზიარებს და ადასტურებს საჩივრის შინაარსს. საჩივრის ავტორი არ დასწრებია 2020 წლის 05 ნოემბერს დისტანციური ფორმატით გამართულ განხილვის კოლეგიის სხდომას. შ. ა.-მა ეთიკის კომისიის აპარატს აცნობა, რომ ის ვერ შეძლებდა დისტანციური ფორმით სხდომაში მონაწილოებას.

1.2. საპროცესო კოლეგიის მიერ საქმის განხილვისს ეტაპზე ა. ა.-ის მიერ წარმოდგენილი განმარტებით, ადვოკატი ს. ი. მას სისხლის სამართლის საქმეზე იცავდა 2019 წლის 01 სექტემბრიდან ამავე წლის 07 სექტემბრამდე, რა პერიოდშიც ადვოკატის მონაწილეობით

ჩატარდა მხოლოდ ერთი სხდომა, რომლის დასრულების შემდეგ ა. ა.-მა ადვოკატ ს. ი.-ს განუცხადა, რომ აღარ სურდა მისი საადვოკატო მომსახურების მიღება. ადვოკატის აცილების თაობაზე ა. ა.-მა აცნობა მამასაც - შ. ა.-საც.

1.3. შ. ა.-ის განცხადებით, ადვოკატ ს. ი.-ს ჰონორარის სახით ხელზე გადასცა 5000 ლარი, რომელიც მოიცავდა სამივე ინსტანციაში საქმისწარმოებას ა. ა.-ის სისხლის სამართლის საქმეზე.

1.4. საჩივრის მიხედვით, ჰონორარის მიღების შემდეგ, ადვოკატი ს. ი. არ დაინტერესებულა მიმდინარე სისხლის სამართლის საქმისწარმოებით, არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და არც პენიტენციურ დაწესებულებაში მისულა ა. ა.-ის სანახავად.

1.5. ადვოკატის აცილებიდან მეორე დღეს, შ. ა. ა. ვ.-თან ერთად (რომელიც მისი ნათესავია) შეხვდა ადვოკატ ს. ი.-ს და განუცხადა, რომ ჰონორარის ნაწილი, რომლის ფარგლებშიც მომსახურება არ გაუწევია - დაებრუნებინა მისთვის. ადვოკატი შ. ა.-ს დაჰპირდა, რომ თვის ბოლომდე მას დაუბრუნებდა თანხას, თუმცა ოდენობა არ დაუკონკრეტებია.

1.6. ა. ა. ადვოკატ ს. ი.-თან ურთიერთობის შეწყვეტის შემდგომ სარგებლობს სხვა ადვოკატის - ბ. პ.-ს იურიდიული მომსახურებით. შ. ა.-ის განმარტებით, ის ცდილობს ადვოკატ ს. ი.-თან დაკავშირებას თანხის დაბრუნების მიზნით, თუმცა ადვოკატმა განუმარტა, რომ „არ შეაწუხონ“.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1. ადვოკატმა 2020 წლის 05 ნოემბერს განხილვის კოლეგიის დისტანციურ ფორმატში ჩატარებულ სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება. ადვოკატის განცხადებით, 2019 წლის 30 აგვისტოს შ. ა.-მა მას სთხოვა სისხლის სამართლის საქმეზე დაეცვა მისი შვილის - ა. ა.-ის ინტერესები. ადვოკატი იმავე დღეს, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შეხვდა ა. ა.-ს და შეუთანხმდა საადვოკატო მომსახურების გაწევის თაობაზე. შეთანხმების შემდეგ, შ. ა.-მა ადვოკატს ხელზე გადასცა ჰონორარის სახით - 5000 ლარი, რომელიც ადვოკატმა შემოსავლის სახით ასახა თავის ანგარიშზე და გადაიხადა საშემოსავლო გადასახადიც. ჰონორარი მოიცავდა ა. ა.-ის ინტერესების დაცვას წინასაგამოძიებო ეტაპზე და პირველი ინსტანციის სასამართლოში.

2.2. საადვოკატო მომსახურების თაობაზე შეთანხმებიდან დაახლოებით 10 დღის შემდგომ, ა. ა.-ის სურვილით, მისი ინტერესების წარმოდგენის მიზნით, საქმეში ჩაერთო მეორე ადვოკატიც - ბ. პ.. ს. ი. მეორე ადვოკატთან ერთად იცავდა სისხლის სამართლის საქმეზე, როგორც ა. ა.-ის, აგრეთვე, მეორე ბრალდებულის ა. კ.-ის ინტერესებს.

2.3. ადვოკატმა ს. ი.-მა 2019 წლის 03 სექტემბერს, როგორც ა. ა.-ის წარმომადგენელმა სააპელაციო სასამართლოში წარადგინდა საჩივარი აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის შეცვლის თაობაზე.

2.4. ადვოკატმა ს. ი.-მა 2019 წლის 17 დეკემბერს უშუალოდ ჩაიბარა ა. ა.-ის მიმართ გამოტანილი „დადგენილება პირის ბრალდების შესახებ“, რაც მასზე ხელმოწერითაც დაადასტურა ა. ა.-თან ერთად.

2.5. ადვოკატის განმარტებით, 2019 წლის 30 დეკემბრის წინასასამართლო სხდომა გადაიდო ა. ა.-ის გამოუცხადებლობის გამო. შემდეგი სასამართლო სხდომა ადვოკატების ს. ი.-ის და ბ. პ.-ს მონაწილეობით გაიმართა 2020 წლის 08 იანვარს, რა დროსაც ა. ა.-მა განმარტა, რომ წინა

სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის თაობაზე განცხადება მას არ დაუწერია, რადგან არ ფლობდა ქართულ ენას და ამასთან განცხადებაზე აღნიშნული ხელმოწერაც მისი არ იყო. ამავე სხდომაზე, ა. ა.-მა განაცხადა, რომ აღარ სურდა ადვოკატ ს. ი.-ს დაეცვა მისი ინტერესები, თუმცა მიზეზი არ უთქვამს.

2.6. ადვოკატის განმარტებით, 2020 წლის 08 იანვრის სხდომამდე ა. ა.-ს მისთვის რაიმე პრეტენზია ან მისი აცილების თაობაზე არ განუცხადებია და ამ პერიოდში ის იცავდა საჩივრის ავტორის ინტერესებს სასამართლო სხდომებზე, აგერთვე, სასჯელაღსრულების დაწესებულებაშიც ნახულობდა მას. ადვოკატის განმარტებით, მისთვის გაუგებარია ა. ა.-ის მიერ მისი აცილების მიზეზი. სისხლის სამართლის საქმეზე არსებულ მეორე ბრალდებულ - ა. კ.-ს ადვოკატ ს. ი.-ის მიმართ რაიმე პრეტენზია არ განუცხადებია.

2.7. 2020 წლის 08 იანვრის შემდგომ ადვოკატი ს. ი. მივიდა საპატიმრო დაწესებულებაში ა. ა.-ის სანახავად, თუმცა ის არ შეხვდა. ადვოკატის განცხადებით, მიუხედავად აღნიშნულისა, ის დღემდე იღებს მონაწილეობას, როგორც ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეზე ორივე ბრალდებულის (ა. კ.-ისა და ა. ა.-ის) ინტერესების დაცვის მიზნით, რადგან ამ საქმეთა განცალკევება რთულია, ადვოკატი განმარტავს: „ერთი საქმეა, ვერ გავანაწილებ, როგორც ადვოკატი ვერ ვიტყვი, რომ ეს ჩემი არ არის, შეკითხვები როცა არის მოწმეებზე ორივეს ვიცავ“.

2.8. ადვოკატის განმარტებით, სიმართლეს არ შეესაბამება ის გარემოება, რომ ა. ა.-მა სექტემბრის დასაწყისში განაცხადა უარი მის საადვოკატო მომსახურებაზე და შეუთანხმდა შ. ა.-ს, რომ იმავე თვის ბოლოს გადახდილ ჰონორარის დაუბრუნებდა.

2.9. ადვოკატის განცხადებით, ეთიკის კომისიაში მის მიმართ საჩივრის წარდგენამდე, 2019 წლის 23 დეკემბერს მას დაუკავშირდა ა. ა. და სთხოვა 30 ლარის მის ანგარიშზე გადარიცხვა. ადვოკატმა ამავე წლის 25 დეკემბერს გადაურიცხა თანხა. ადვოკატის განმარტებით, აღნიშნული გარემოებითაც დასტურდება, ის რომ ა. ა.-ს მის მიმართ პრეტენზია არ ჰქონია.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ს. ი.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის შეწყვეტისას არსებობდა გამოუმუშვებელი ჰონორარი, რომელიც ადვოკატ ს. ი.-ს არ დაუბრუნებია კლიენტისთვის შესაძლოა, დარღვეული ყოფილიყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (შემდგომში: აპეკ-ის) 8.15 მუხლი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1. განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორის, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტები:

4.1.1 2019 წლის 30 აგვისტოს ადვოკატი ს. ი. შეუთანხმდა შ. ა.-ს დაეცვა მისი შვილის ა. ა.-ის ინტერესები სისხლის სამართლის საქმეზე. ადვოკატმა მიიღო ა. ა.-ისგან თანხმობა წარმოედგინა მისი ინტერესები სასამართლოში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტებები (იხ.პუნქტები: 1.2, 2.3);

4.1.2 შ. ა.-მა ადვოკატს ა. ა.-ის სისხლის სამართლის საქმისწარმოების მიზნით გადასცა ჰონორარის სახით 5000 ლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტებები (იხ.პუნქტები: 1.2, 2.3);

2019 წლის 03 სექტემბრის შემოსავლის ორდერი;

4.1.3 ადვოკატმა წინასაგამოძიებო ეტაპზე და პირველი ინსტანციის სასამართლოში აწარმოა ა. ა.-ის სისხლის სამართლის საქმე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ადვოკატმა 2019 წლის 03 სექტემბერს სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა აღკვეთის ღონისძიების სახით ა. ა.-ის მიმართ შეფარდებული პატიმრობა (იხ.საჩივარი);

2019 წლის 21 ოქტომბერს სასამართლო სხდომაზე მხოლოდ ადვოკატი ს. ი. წარმოადგენდა ა. ა.-ის ინტერესებს (იხ. ---ის რაიონული სასამართლოს სხდომის ოქმი);

2019 წლის 27 ნოემბერს მოპასუხე ადვოკატი მეორე ადვოკატთან - ბ. პ.-სთან ერთად იცავდა ა. ა.-ის ინტერესებს (იხ. ---ის რაიონული სასამართლოს სხდომის ოქმი);

2019 წლის 17 დეკემბერს ადვოკატმა ს. ი.-მა ჩაიბარა ა. ა.-ის მიმართ გამოტანილი დადგენილება პირის ბრალდების შესახებ. აღნიშნულ დადგენილებას ხელს აწერენ ადვოკატი ს. ი., როგორც ა. ა.-ის დამცველი, აგრეთვე, ა. ა., მისი თარჯიმანი, დადგენილების შემდგენი პროკურორი და --- ის რაიონული სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი (იხ. დადგენილება);

4.2 მხარეებს შორის სადაოა შემდეგი ფაქტი: მიღებული ჰონორარის ფარგლებში ადვოკატ ს. ი.-ს რა ეტაპამდე უნდა წარმოედგინა ა. ა.-ის ინტერესები.

შ. ა.-ისა და ა. ა.-ის განმარტებით, შეთანხმების შესაბამისად, საადვოკატო მომსახურება მოიცავდა სისხლის სამართლის საქმის წარმოებას სამივე ინსტანციაში.

ადვოკატი განმარტავს, რომ ჰონორარის ფარგლებში მას ა. ა.-ის საქმე წინასაგამოძიებო ეტაპზე და პირველი ინსტანციის სასამართლოში უნდა ეწარმოებინა.

ეთიკის კომისიაში თავად საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით - 2019 წლის 03 სექტემბრის შემოსავლის ორდერით დასტურდება, რომ გადახდილი ჰონორარი 5000 ლარი მოიცავდა მხოლოდ პირველ ინსტანციაში ა. ა.-ისთვის სრულად გასაწევ საადვოკატო მომსახურებას.

შესაბამისად, დგინდება, რომ ადვოკატს მიღებული ჰონორარის ფარგლებში საადვოკატო მომსახურება პირველი ინსტანციაში საქმისწარმოების ეტაპამდე უნდა შეესრულებინა.

4.3 მხარეებს შორის სადაოა როდის შეწყდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა, 2019 წლის 07 სექტემბერს, როგორც ამას საჩივრის ავტორი და მისი მოწმეები უთითებენ, თუ 2020 წლის 08 იანვარს, როგორც ამას მოპასუხე ადვოკატი უთითებს.

4.4 წარმოდგენილი პოზიციების და საქმეში არსებული მტკიცებულებათა შეფასების გათვალისწინებით დასტურდება, რომ მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა შეწყდა 2020 წლის 08 იანვარს, როდესაც ა. ა.-მა უარი განუცხადა ს. ი.-ს გაეგრძელებინა მისი წარმომადგენლობა (იხ. სხდომის ოქმი).

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ს. ი.-ს არ უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 განხილვის კოლეგიის შეფასებით, არ დადასტურდა, რომ ადვოკატმა ს. ი.-მა დაარღვია საპროცესო კოლეგიის მიერ მითითებული შემდეგი მუხლი:

> კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას, ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ... ფულადი სახსრები, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ... კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.15).

6.2 „... იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს. ადვოკატის პროფესიული ქცევის აღნიშნული სტანდარტი ემსახურება კლიენტის ინტერესებს და ადვოკატის ავტორიტეტის დაცვას, გამომდინარეობს ადვოკატის ვალდებულებიდან იმოქმედოს კლიენტის ინტერესებით, თავისი ქცევით პატივისცემას იწვევდეს კლიენტში“ (უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმეზე დს-შ/17-16).

6.3 „კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან

ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას“ (ეთიკის კომისიის 2016 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე №038/16, პარ. 6.2).

6.4 დადგინდა, რომ კლიენტთან შეთანხმებით, სისხლის სამართლის საქმეზე ადვოკატი ს. ი. 2019 წლის 30 აგვისტოდან წარმოადგენდა ა. ა.-ის ინტერესებს წინასაგამოძიებო ეტაპზე და ---ის რაიონულ სასამართლოში. ა. ა. უთითებს, რომ 7 სექტემბრის შემდგომ ადვოკატი ს. ი. აღარ წარმოადგენდა მის ინტერესებს, თუმცა საწინააღმდეგოს ადასტურებს კომისიაში წარმოდგენილი საქმის მასალები. კერძოდ, დასტურდება, რომ ადვოკატი ახორციელებდა იურიდიულ მოქმედებებს ა. ა.-ის ინტერესების დაცვისათვის (იხ. პუნქტი 4.1.3) და ესწრებოდა ა. ა.-ის საქმესთან დაკავშირებით სასამართლო სხდომებს პირველი ინსტანციის სასამართლოში. დასტურდება, რომ ადვოკატმა ს. ი.-ის მიერ მიღებული ჰონორარი - 5000 ლარი მოიცავდა პირველ ინსტანციამდე საქმისწარმოებას, რაც ადვოკატის მხრიდან განხორციელდა (იხ. პუნქტი: 4.2.). შესაბამისად, კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ს. ი.-ის მიერ არ დასტურდება გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულების დარღვევა.

6.5 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ კანონის 28.14 მუხლით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 3.2, 5.7, 19, 20, მე-40 მუხლის მეორე პუნქტით და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით გადაწყვიტა:

III სარეზოლუციონაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №153/19 ადვოკატ ს. ი.-ს /სიითი №/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/